

სოხიალდემოკრატიული ფურცელი



მთავარი,
სოხიალდემოკრატიული
1905
ნომერი 3 კავშირი. * ქალიწავლი პირველი.

რუსეთის სოციალ-დემ. მუშათა პარტია.
პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

№ 12.

სოციალ-დემოკრატიული

№ 12.

მელქისედეგ ბრიგორის ძე შალვა შვილებითურა აუწყებენ
ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი ქალიშვილისა
და დანარჩენები დისას

ელპიტესას (ბაბუღიკასას)

გასვენების დღე დანიშნულია 29 დეკემბერს, ხუთშაბათს, დილის
11 1/2 საათზე. პანაშვილები დანიშნულია 28-ს, დილის 10 ს. და
ნაშვადღევის 1 საათზე. ბამოსვენება იქნება ზალინოვის სახლები-
დან ბაგარინის ქუჩაზე.

მოსკოვის პროლეტარების ბაზო.

რუსეთის დიდმა რევოლუციამ
სამომარი წყევრა და მთელი რუ-
სეთი. რევოლუციონური ბრძოლის
წესები შექმნილა. ცხრა იანვარს
პროლეტარიატმა ომი გამოუცხადა
მეფის თვითმპყრობელობას პეტერ-
ბურგში. ერთი წლის განმავლობაში
რევოლუციის ცუდმა ტუტმა
შემოვლო; დღეს რუსეთის დედა-ქა-
ლაქი, ბუდე თვითმპყრობელობისა,
შოსკოვი მეფის მთავრობას ეკვეთა.
ჩვენის აზრით მოსკოვის პროლეტა-
რიატის გამორული გამოლაშქრებით
თავდება პირველი მოქმედება დიადი
ისტორიული მოძრაობისა. რუსეთის
საზოგადოება ერთი წლის წინეთ

ხაოჩისებურ მდგომარეობაში იყო.
იქ თხა და მგელი ერთათ სძოვდა,
ბიუროკრატს, პროლეტარს, ბურ-
ჟუას, მღვდელს, ჯარს ევლას თით-
ქო საერთო ინტერესები რომქნა;
საზოგადოებრივ ელემენტთა შორის
გამოუტკვეველი ურთიერთობა იყო;
რევოლუციამ ძირითადად შეარყა
რუსეთის საზოგადოება, მან დაყო, დი-
ფერენციაცია მოახდინა საზოგადოე-
ბის ელემენტებისა, თითქუ ელემენტს
თვისი შესაფერი ადგილი მიუჩინა;
ყველას ნილაბი ჩამოგლიჯა და მე-
ბრძოლ რაზმში ჩააყენა. დღეს ყვე-
ლას ფიზიონომია ცხადია, მოპირ-
დაპირენი ბრძოლის ველზედ დგანან
და ბრძოლა გაცხარებულია. ერთის

ფელეტონი

კალენდოსკოპი.

ო, ჰო, ჰო, ჰო! არ უყურებთ,
როგორ ჩაუკეჯავთ კარ-დარაბები
ესკულაპებს! ვითომ რაო და ბელზე-
ბელმა არ შემოიპყვრიტოსო. ტყუილა
ირჯებით, ესკულაპებო! ბელზებელი
მა რა ეშმაკის ბელზებელია, რომ
დარაბებმა დაუშალოს თქვენი და-
ნახვა. ათასი ფარდა რომ აიფაროთ,
ზედ ამდენივე ს ბანი მიიკრათ, თვით
ქვესკნელშიაც რომ ჩაძვრეთ, ბელ-
ზებელს მაინც ვერ დაემაღებით.
რენტგენის სხივებით თქვენ თუ კი
სარგებლობთ, გეგონათ მე კი ვერ
ვისარგებლებდი? კარგათ ვიცოდი
თქვენი ოინბაზობა და მეც თავდა-
რიგი დავიჭირე. ესეც არის ბერ-
ლინიდან კატის ფოშტით მივიღე
რენტგენის სხივების მანქანა. ხელათ
ამ მანქანას ჩემს ტელესკოპზე წა-
მოვაცმევ და მორჩა და გათავდა
მდიდრულათ, ბურჟუაზულ გე-
მოზე წორთულ კაბინეტში მაგიდას-


თან რბილ სავარძელში მოსვენებით
ზის ასე ორმოცი-ორმოც და ხუთი
წლის ოდნავ შექალარევებული ექიმი
და ცხვირსახოცის ყურით სათვა-
ლებებს სწმენდს.
ათახი კარტოვილის სანთლები-
თაა განათებული. ეტყობა, ნაფთი
გამოლევია. მაჯიდაზე გულზე დასაკა-
კუნებელი, დასაყურებელი და სხვა
სამედიცინო იარაღები და წიგნები
აწყვია.
—დასწყევლოს ღმერთმა! ვეყო
და ეს ავთამყოფებიც გაიფიცენ, თუ
რა ამბავია! სხომის ამ დროს დამი-
თაც არ მასვენებდენ, ხან იქით მი-
მათრეადენ, ხან აქეთ. სულ ჩეჩქი-
ვით მოდიოდა ფული. ახლა კი...
ახლა, რამდენი ხანია, ერთი გროში
კაპიკიც აღარ ამიღია. ამას წინათ
წამიყვანეს ტელეგრაფისტის ოჯახ-
ში ერთ ავთამყოფთან, მარა რათ
გინდა, ცარიელი გამომიშვეს, ფი-
ტონის ფულიც კი არ მოუცია იმ
ოჯახქორს. „უკაცრავათ, გაფიცული
ვარ და ჯამაგირი არ მოუციათო“,
ბოდიში მომთხოვა. ერთი ჰა! შენ რომ

მართა მოწინავე რაზმში დგას პრო-
ლეტარიატი ზემდეგ გლეხობა, მეორე
მხრით — საზოგადოების სხვა ელემენ-
ტი თვითმპყრობელობის მთავრო-
ბის მესაურობით. რამდენათაც და-
ლას იკრებს პროლეტარიატი, იმდე-
ნათ წინ მიდის და ღმრავდება. რე-
ვოლუციაც; რამდენათაც საზოგა-
დოების სხვადა სხვა ელემენტები თვით-
მპყრობელობის გარშემო თავს იყ-
რიან, იმდენათ ძლიერდება კონტრ-
რევოლუციაც; ორივე მხრით ეს
ზრდა, როგორც ერთი, ისე მეორე
ძალისა დღითი დღე მატულობს.
მხოლოდ საქმე იმაშია, რომ ასეთი
პარალელური ზრდა ორივე ძალები-
სა ერთსა და იმავე დროს დახანს
ვერ გაგრძელებდა, ან ერთი უნდა
შეწყდეს და სარბიელი დაუცალოს
მეორეს. ან პირიქით, მაშ რომელი
უნდა დამარცხდეს? უკველია კონტრ-
რევოლუციონური ძაოიბი. კონტრ-
რევოლუციაც, რეაქცია, ეს მხო-
ლოდ სიტუვა კი არა, ეს ბნელი ძა-
ლების ბრძოლაა, მოძრაობა მიმარ-
თული განსაზღვრული მიზნისაკენ.
თვითმპყრობელობის მთავრობას,
რა თქმა უნდა, სურს ერთი რამ:
ძველი რეჟიმი გააცოცხლოს და მე-
მეფის ტახტი დაიკვას. წყალ წაღე-

ბული ხავს ექიდებოდაო: არასოდეს
ბიუროკრატია იმ აზრს არ დასტუ-
ვებს, ფიქრით მაინც, რომ ძველი
მდგომარეობა დაიბრუნოს, მაგრამ
ფიქრების დრო წავიდა: საქმე საქ-
მეშია, ბრძოლაში. რას ნიშნავს ძვე-
ლი რეჟიმის გაშეფება: მას, რომ პრო-
ლეტარიატმა უნდა უარჰყოს ის
რაკ ერთი წლის სისხლის ღვრით
მოიპოვა, ესე იგი რევოლუციის
მეთაურობა; მან უნდა უარჰყოს
სიტუვის, კრების, გაფიცვის თავი-
სუფლებები, რომელნიც დღეს ფაქ-
ტიურათ მის ხელშია, ერთი სიტყ-
ვით მან უარი უნდა ჰყოს თვის თავი,
როგორც კლასსმა. ეს კი ხიმერაა. რას
ნიშნავს ძველი რეჟიმის შემოდება
გლეხობაში? ჯერ გლეხმა ხელი უნ-
და აიღოს ყოველგვარ მოთხოვნაზე,
შემდეგ ის უნდა შეურიგდეს იმ
ექსპლოატაციას, რომელიც მას პი-
როტყავით ჩენიოდა. ამას იმარ-
ლებს ეხლა, თუხდა მთელი ქვეყნის
რეაქციონური ძალები შეერთდენ.
ამ მხრით რევოლუციამ უკვე
გზა შეუკრა თვითმპყრობელობას.
არი ერთი გასაგალი: მთავრობამ
ლიბერალური ელემენტების დახმა-
რებით 17 ოქტომბრის მანიფესტი
განახორციელოს, მაგრამ, მაგარი ის

გაფიცული იყო, მე რა? თუ ექიმის
გასასტუმრებელი ფული არა გქონ-
და, რას იფიცებოდი, შე მამაცხო-
ნებულო! ეპ, წავიდა ხელიდან პრაქ-
ტიკა! ლამის არის რეცეპტების წე-
რა დამავიწყდეს...
ექიმი ჩაფიქრებული. უცებ ზარის
ხმა ისმის. ექიმი თავს წამოაყფს და
ფარეშა ზარს ურეკს
—აბა, ჩქარა, კარი გაუღე! მგო-
ნია პაციენტი.
ექიმი სიამოვნებით ხელებს ის-
რესს.
შემოდის მოხუცებული დედაკაცი.
—დობტურო, შენი ცოლშვილის
სადღეგრძელოთ მიშვედე, შვილი
მიკვდება!
—გაფიცული ხომ არა ხარ?
დედაკაცი გაშტერებით უყურებს.
—არ გესმის, შენი ქმარი ხომ
არაა გაფიცული?
—არა ბატონო, ჩემმა ქმარმა კი
ხანია თქვენი ქირი წაიღო.
—კარგი, წამოვალ, მარა რას
მომცემ?
—რა უნდა მოგართვათ შენი ქი-

რამე, თქვენგან აგერ ორ ნაბიჯზე
ვდგავარ, ათ შაურს მოგართმევთ.
—რაო, რაო? უკაცრავათ... მე
ათ შაურიანი არ გახლავართ. სამ
მანეთ ნაკლებ ვერ გაიხლებით.
—კარგი რომ ბრძან ესით, მეც
იმიტომ მოგვართეთ. ერთი მანეთის
მეტი არა მაქვს, თქვენს ღმერთს
მიმადღეთ, ნუ დამწვავთ, წამობ-
ძანდით!
—დალოცვილო, შენ რომ არა
გქონდეს, ჩემი რა ბრალია. მარა თუ
მართლა ასე გაჭირებული ხარ, რა
გაფწყობა, საწყალი ხალხი მე ძალიან
მეგრალევა... ორ მანეთს დაგჯერ-
დები.
დედაკაცი უჩქებს.
—დობტურო, ღმერთმა ხომ იცის
ამაზე მეტი არა მაქვს, თვარა რომ
მქონდეს, როგორ არ მოგართმევ
დით, ოჯახის მარჩენალი, ერთი
ერთი მოსწრებული შვილი მიკვდება
ვილუბები, მიშვედე, იქნება ცოცხ-
ხალს მიუსწროთ!
—აკი გითხარ, არ შეიძლება
მეთქი! მიბძანდით, არა მკალია!



არი, რომ ამ მანიფესტის ფაქტური განხორციელება ეს იმავ რევოლუციის სარბიელის გაფართოებაა. ამაზედ ეთქმის: სითაც გავიქეცი, იქით წავიქეცო, ამ რიგად რევოლუციის დღეს იმ ხანაშია, როცა მოწინააღმდეგე ძალები უკვე შეკრებილია, თელი წლის განმავლობაში რევოლუციის ტალღები პერიფერიისგან ცენტრს ეჯახებოდა, დღეს მოსკოვი, ეს ბუდე თვითმპყრობელობის, რევოლუციის ცეცხლმა მოიცვა და რევოლუციონური მოძრაობა უკანვე ბრუნდება. პერიფერიისაკენ, ვიმეორებთ, რევოლუციამ რუსეთის ცხოვრებას ალყა შემოარტყა და სიკვდილ-სიცოცხლის ბრძოლა აუცილებელი ჰყო. მაშ ვინც დღეს ხედავს მხოლოდ რეაქციის გამოლაშქრებას და მეტს ვერაფერს, იგი ხედავს ხეებს და ვერა ტყეს. — მაშ აუმარჯოს კიდევ რევოლუციას.

სოციალიზმის ისტორიიდან.

შემდეგი *)

კაცობრიობის ისტორია არ წარმოადგენს გროვს ფაქტებისას, რომლებიც მხოლოდ შემთხვევის, ალალბედის ნაყოფი არიან და თავის წარმოშობასა და განვითარებაში არაფითარ განსაზღვრულ კანონებს არ ემორჩილებიან. ბუნებაში შემოქმედების განსაზღვრულ კანონებს ამორჩილება. კაცობრიობის ისტორიაც აუცილებლობის ნაყოფია და შემთხვევას ალაგი არა აქვს. ამიტომ ყოველგვარ მოვლენას კაცობრიობის ცხოვრებაში ჩვენ უნდა ვუყუროთ, როგორც აუცილებელს

იხ. „სოც. დემ. ფურც.“ № 9.

— თქვენა ბძანეთ საწყალი ხალხი მებრალეობა?! ესა თქვენი სიბრალოელი? აი, ასე გაგამწაროს მამა ზეციერმა..

დღეაკაცი ბუტბუტით გადის.

— სწორეთ რომ ვსთქვათ, მანეთსაც არა უშავდა რა, მარა რა ვქნა, პრინციპს ვერ ვუღალატებ. ამას რომ ახლა მანეთს დავეჯერებოდი, შემდეგ სხვები ათ შაურხედაც ბოღიშ არ მომიხდიდნ.

ისმის კიდევ ზარის ხმა.

შემოდის მალა-მალა, ქერა, უკანასკნელ პარისის მოდაზე გამოწყობილი, ბერდიხვევლ გეშეფტმახერის სახის გამომეტყველების ახალგაზდა.

— დაბძანდით! რა გტკივთ? ენა გამოყავით!

— მე არაფერიც არ მტკივა.

— მაშ რისთვის გარჯილხართ? ვინა ბძანდებით?

— მე სოციალისტი ვარ! სოციალისტ-ფედერალისტი!

— ო, დიდათ სასიამოვნოა, დიდათ სასიამოვნო! მე დიდი თაყვანის

და ჩვენი საკუთარი მისწრაფება და მოქმედება შეუფარდოთ, შევუთანხმეთ საზოგადოებრივი განვითარების აუცილებელ გზას და ამა ჩვენს საკუთარ სურვილებს, საკუთარ ოცნებებს. აუცილებელი და სასურველი ერთიმეორეში არ უნდა აფუროთ ხოლმე და ეს ცხადი ქეშმარტება სულ ხშირათ დავიწყებულია. ძალა და მნიშვნელობა აქვს მხოლოდ აუცილებელს, ამიტომ ყოველთვის და ყოველ შემთხვევაში საჭიროა ამ აუცილებელის გამორკვევა და შეგნება. ცხოვრებაში კი ხშირათ სასურველს ჩააფრინდებიან და გაიძახიან: ეს არ ვარგა, ეს ცუდია, აი ეს არის კარგი და სასურველი აქეთ წამოდითო. ამგვარი მაცხონებელი ერთი ერთმანეთს ეჯიბრებიან სურვილების გამოფრენაში, ცხოვრება კი თავისი საკუთარი გზით მიდის და ყველა ამათ დასკინის. საქმე იმაშია, რომ ხშირათ აუცილებელი სასურველი არ არის; ხშირათ ის რაც აუცილებელია, კაცობრიობის უპრავლესობისათვის დამლუბველია. მაშ ტანჯულთა შავ ბედს ბოლო და საშველი არა ჰქონია! იქონი უნდა იტანჯებოდნ და ამავე დროს გრძობდნ და ხედავდნ, რომ ტანჯვა მათი აუცილებელი ხვედრია? იფიქრებს ზოგიერთი მკითხველი. ამგვარი ფიქრი და აზრი შემცდარია და აი რატომ. როგორც ბუნებაში, სოციალისტების ცვალებადობაშია. ბუნებაში ერთ წერტილზე არაფერი არ არის გაჩერებული, ყოველისფერი მოძრაობაშია და მთელი სამყარო წარმოადგენს უზარმაზარ კალციდოსკოპს. ცხოვრებაშიც ყოველგვარი მოვლენა, ყოველგვარი ფორმა მოძრაობაშია, ცვლილებაშია, და როგორც ცვლილებაშია.

მცემელი ვარ თქვენი მოძღვრების ფედერაცია თუ უშველის ჩვენს მრავალტანჯულ ერს, თვარა სხვა არაფერი.

— რასაკვირველია, რასაკვირველია! მარა, ერთი ეს მიბრძანეთ, ეს საბნები რათ აგიფარებიათ თანჯრებისათვის?

— როგორ თუ რათ! მეშინია იმ წყეულმა „ბელზებელმა“ არ შემოიქვიტოს.

— ოჰ, ის შეჩვენებული! რომ მჩვენა სულ კბილებით დავგლეჯ! აკი ჩვენთანაც შემოიქვიტა იმ დადაწყველილმა. დამაცადოს, „თამარაზე“ ჩვენს რაზეულებს ჩავუსაფრებ და სულ კუდით ქვას ვასროლიებ.

აი ეს ჩინებულია! გვიშველეთ, დავგხსენით იმ შეჩვენებულ „ბელზებელისაგან!“ რამდენი კაცი გყავთ რაშში?

— ცოტა, ასე თუთხმეტ კაცამდე იქნება. მარა რაში რათ გვინდა, ქართველები უმსოდაც ცოტანი ვართ და, ამ რევოლუციაში რომ ჯარებს შევაწყვიტოთ, რა ჰქუა იქნება. ქართველის სისხლს დიხაც არ დავღვრით. ჩვენ ინგლისის ჯარს ვქირაობთ. ექვსას ათასი კაცი გვიწინდა ვიქირაოთ, დიხ, ექვსასი ათასი.

— ო, ექვსასი ათასი კაცი... ეს ხუმრობა არაა. თუ ამ რევოლუციას ჩამოუსწრო, რუხის ჯარს სულ ტყავს გააძრობს. ფედერაციაც და ავტონომიაც მაშინ ნამდვილათ ხელში გვექნება.

— რასაკვირველია, რასაკვირველია! მარა უკაცრავათ, შეჩქარება! აი ამ მიზნისათვის ფულის მოსაკრებათ დავდივარ. იმედია, თქვენაც არ დაშურავთ მეკრეოდენ წვლილს და ამ განმათავისუფლებელ მოძრაობას ხელს შეუწყობთ.

— რასაკვირველია, დიდი უსიამოვნებით! მარა, მოგხსენებათ რა გაჭირვებაა, ხალხს ტყავი გაძრა, თვითონ რომ არაფერი აქვს, შენ რა უნდა მოგკვს. მეზე მე საშინლათ მებრალეა საწყალი ხალხი, სულ მუქათა ვწამლობ. კაი ხანია, კაპიკი არ შემომსვლია და ნურას უკაცრავათ, ასეთ მცირე შეწირულე-

გორც ეს ფორმა არის აუცილებლობის ნაყოფი, აგრეთვე თვით მისი ცვალებადობაც აუცილებლობას ემორჩილება. ამიტომ, როდესაც ჩვენს თვალწინ არის რაიმე ფორმა საზოგ.დოებრივი ცხოვრებისა, ჩვენ უნდა შევიგნოთ, საით მიაქნებს ამ ფორმს განვითარების აუცილებლობა და მაშინ დავრწმუნდებით, რომ ის, რაც სასურველი არ არის, განვითარების გზაზე ხშირათ სასურველი ხდება. ე. ი. ის, რაც ხშირათ მივინებელია კაცობრიობის უპრავლესობისათვის, განვითარების გზაზე, კაცობრიობის უპრავლესობისათვის სასარგებლო ცვლილებას განიცდის ხოლმე. თუ ჩვენ ჩავუკვირდებით კაპიტალისტურ წარმოებას, დავრწმუნდებით, რომ განვითარებას ის აუცილებლათ სოციალიზმისაკენ მიყავს და დღევანდელი ბურჟუაზული წყობილება აუცილებლათ უნდა შეიცვალოს სოციალისტურით. ამგვართ სოციალიზმი სასურველიც რომ არ იყოს, აუცილებელია, როგორც შედეგი კაპიტალისტური განვითარებისა. სოციალისტმა უნდა გამოიკვლიოს ის გზა, რომლითაც კაპიტალიზმი მიდის სოციალიზმისაკენ და ამ გზაზე შეგნებულათ შეაყენოს ყველა ისინი, ვისაც კაპიტალისტურ წყობილებაში ტყევი ძვრება. სენსიზმონი, ფურიე და რობერტ ოუენი ამ ერთათ ერთ მეცნიერულ ცილებელი შედეგი კი არ არის კაპიტალიზმის განვითარებისა, არამედ მხოლოდ სასურველი ფორმა პროლეტარიატის კეთილდღეობისათვის. ამ სასურველი ფორმის განხორციელებას ისინი აპრობდენ მალლიდან, თვით პროლეტარიატს კი განზე ტოვებდენ და დარწმუნებული იყავნ,

ნება. ქართველის სისხლს დიხაც არ დავღვრით. ჩვენ ინგლისის ჯარს ვქირაობთ. ექვსას ათასი კაცი გვიწინდა ვიქირაოთ, დიხ, ექვსასი ათასი.

— ო, ექვსასი ათასი კაცი... ეს ხუმრობა არაა. თუ ამ რევოლუციას ჩამოუსწრო, რუხის ჯარს სულ ტყავს გააძრობს. ფედერაციაც და ავტონომიაც მაშინ ნამდვილათ ხელში გვექნება.

— რასაკვირველია, რასაკვირველია! მარა უკაცრავათ, შეჩქარება! აი ამ მიზნისათვის ფულის მოსაკრებათ დავდივარ. იმედია, თქვენაც არ დაშურავთ მეკრეოდენ წვლილს და ამ განმათავისუფლებელ მოძრაობას ხელს შეუწყობთ.

— რასაკვირველია, დიდი უსიამოვნებით! მარა, მოგხსენებათ რა გაჭირვებაა, ხალხს ტყავი გაძრა, თვითონ რომ არაფერი აქვს, შენ რა უნდა მოგკვს. მეზე მე საშინლათ მებრალეა საწყალი ხალხი, სულ მუქათა ვწამლობ. კაი ხანია, კაპიკი არ შემომსვლია და ნურას უკაცრავათ, ასეთ მცირე შეწირულე-

რომ ბურჟუაზია შემოიღებდა სოციალიზმს პროლეტარიატისათვის, თვით პროლეტარიატს სოციალიზმს ვერ განხორციელებდა.

სულ სხვა თვლით შეხედა ამ კთხვას ლუიბლანმა. ლუიბლანი მით განიჩჩევა განხილული უტოპისტებისაგან, რომ მან მიუთითა პროლეტარიატს, რომ ბურჟუაზიასა და მუშახალხს შუა სრული უფსკრულია; ლუიბლანმა კარგათ დაინახა კლასობრივი ანტაგონიზმი, რასაც უტოპისტები ვერ ხედავდენ, და ამიტომ სამუდამოთ უარყო ის იმედი, ვითომ თითონ ბურჟუაზია შემოიღებდა სოციალიზმს. თუ უტოპისტები ქადაგებდენ: სოციალიზმი მალლიდან განხორციელდება, რადგანაც ეს სასურველი წყობილებააო, ლუიბლანი ამტკიცებდა: სოციალიზმი უნდა განხორციელდეს ძირიდან, ის უნდა შემოიღოს თვით პროლეტარიატმა ბურჟუაზია მისი მტერია და ამიტომ პროლეტარიატს თვისი მტრის იმედი არ უნდა ქონდესო.

რა გზით და რანაირათ უნდა განხორციელოს პროლეტარიატმა სოციალიზმი? პროლეტარიატი უნდა შეეკავშირდეს და შეადგინოს ერთი პარტია; სახელწიფო მართვა-გამგეობა მან უნდა ჩაგდოს ხელში და რეფორმებით, კანონმდებლობითა და კენქით უნდა განხორციელოს თანდათან სოციალიზმი. ამგვარათ უმთავრესი საშელება მდგომარეობს იმაში, რომ პროლეტარიატის პარტია კანონმდებელი გახდეს. რა უნდა ქნას პროლეტარიატმა მაშინ, როდესაც ის ამ მიზანს მაღწევს? მან უნდა დაამწყოს პროგრესის სამინისტრო და დაამწყოს შეაერთოს ასოციაცებათ; მუშათა ასოციაციებმა საკუთარი წარმოება უნდა დაიწყონ, ბაზე. სხვა დრო იყოს, თავს არ შევირცხვენდი, ასიანსაც მოგართმევდით...

აწვდის თუმნანს.

— რაო, თუმანი!. როგორ გეკადრებათ! თქვენ, როგორც შეძლებულ კაცს, სამისი მანეთი შეგაწერეთ.

— სამისი მანეთი?! ესა თქვენი წვლილი? ფეხით რომ დამკიდოთ, ვერ მოგკემთ, არ შემოძლია.

— ერთ კაპისაც ვერ დაგიკლებთ! მარა, რადგანაც თქვენ საწყალ მშრომელ ხალხს მუქათა წამლობთ, ხუთ თუმანს ახლა გამოგართმევთ დანარჩენსაც შემდეგ, ნაწილ-ნაწილ.

ექიმი თავს იქექს, მეორე ოთახიდან ხუთი თუმანი გამოაქვს და „სოციალისტს“ აძლევს.

„სოციალისტი“ ბარათზე ხელს უწერს და გადის.

— აი ეშმაკმაც წაიღოს შენი ფედერაცია და სოციალიზაცია. ნეტავი ისევ იმ დედაკაცს ვაფელოდი მანეთათ, შინ რომ არ დავხვედროდი, იქნებ გადავჩინოდი. მარა რას გაუშვებს, მეორეჯერ კ

